

მუსელმან ქართველთ საქანონველო



აღი ფაშა თავდგირიძე და მისი მხლეგლები

“ ჭიჭინაძეს.

თ ვ ი ლ ი ს ი

ს. მ. „გურენბერგის“ ოლგას და სლეპოვის კუთხ. № 1
1909



გუშულებან ქართველთ სპექტაკლები



2234

ალი ფაშა თავდგირიძე და მისი მხლეგლები

ზ. ჭიჭინაძის.

თ ვ ი ლ ი ს ი

სიმბა „გუცელებურგისა“ ოლგას და სლეპილის
1909



ოსმალეთის ურფილი საქართველო

ოსმალეთის ურფილ საქართველოს ადგილები უდრის ნახევარ საქართველოს, იგი 1829 წლის შედგენდა. ოსმალოს იმპერიის ნაწილს. მთელის ამ ვრცელის კუთხის ნაწილები შესდგებოდა სხვა და სხვა შესანიშნავის საზღვრებთაგან, მაგალითებრივ სამკედ-საათაბაგოს მიჯნა იწყობოდა ტაშის ქარიდამ, ჩოლოქიდამ და თრიალეთის მხრით სამხრეთ საქართველოდამ, იგი მიემართება მთელს ამ ვრცელს და ძველს კუთხეს. მოკლედ რომ ითქვას, სამკედ-საათაბაგო სახელმწიფო იყო მთელის საქართველოსი. მის სივრცე და ქართველი ერი იმოდენი იყო, რაზედაც სცხოვრებდენ უამეტ მღვდელ-მთავარნი, ესე იგი უამეტი საეპისკოპოზო კათედრა არსებობდა.

ამ ნახევარ საქართველოს ადგილები იწოდებოდა სხვა და სხვა სახელებით: მაგალითებრ მესხეთი, ჯავახეთი, აჭარახელი ერთი მილიონი ქართველი ერი. არტაანი, დლეს ურდავანის ოლქი, ერუშეთი, შავშეთი. ოლთისი, ფანასკეორი, ტაოსკარი, კლარჯეთი, ლაზისტანი, თორთომი, იმრხევი, ლიგანის ხევი ე. ა. მთელი ჭოროხის ხეობა, აჭარა ქვემთ და ზემო შავახელი, ქობულეთი, და სხვა ადგილებიც. მარტოდ ლაზისტანი გადაჭიმულია 240 ვერსის მანძილზედ. აჭარა დლემდე დასახლებულია მთლიად ქართველი. ტომის ერი, ქარ-

თულადვე მოლაპარაკენი. რუსთის საქართველოსთან დღე-
მდე შემოკავშირებულია მხოლოდ ერთი კუთხე ლაზისტა-
ნისა, მაგალითებრ ჩხალის ხეობა. ლაზთა რიცხვი თსმალე-
თის იმპერიაში ერთობ დიდია, რამდენიმე ასი ათასია.

სამცხე-სათაბაგო თუ რა დიღი რიცხვის იყო ძველად
და რა ადგილ მდებარეობის, ამას გამოაჩენს შემდეგი: იგი
შესდგებოდა ცამეტ საეპისკოპოზო სამლოდელ მთავრო სა-
ურალებო კათედრისაგან. თვითო კათედრას და მის
მლოდელ მთავარს ებარა საკმარისი ზომის აღილები და ხალ-
ხი. 1. სმაწყვერელ-გვირგვინ ბისონიანი მლოდელ-მთავარი.
2. ი. შიტროპოლიტი. 3, კუმურდოს მლოდელ მთავარი და
მისი სამწყსო. 4, იშხნელის მლოდელ მთავარი და მისი სამ-
წყსო. იშხანი დღემდე თსმალეთის სამფლობელო საქართვე-
ლოშია დაშთენილი. 4, ანჩელის სამწყსო და მლოდელ მთა-
ვარნი. დაშთენილია დღემდე თსმალეთის სამფლობელო სა-
ქართველოში. აქედამ არის გადმოტანილი ანჩის ხატი, დღეს
თფილისში ინახება და „ანჩხატად“ წოდებული. 5, მტბევარის
სამწყსო და მლოდელ მთავარნი. ტბეთი შავშეთშია, დღემდე
მთლად სდგას, აღშენებულია X საუკუნეში. 6, წურწყაბლის
სამწყსო და მლოდელ მთავარნი. 7, წყაროს თაველის სამწყსო
8, ერუშნელის სამწყსო. 9, ვალაშკერტელის სამწყსო. 10,
ანელის სამწყსო. 11, კარელის სამწყსო. 12, ბანელის სამ-
წყსო, (არდაგანის ოკრუგის), ბანის საყდარი დღევანდლამდე
სდგას, იგი მეტად შესანიშნავია და 13 დადაშნელის სამწყსო.
ამ ცამეტ საეპისკოპოზო საკათედროთა მცხოვრებნი მთლად
ქართველის ტომისაგან შესდგებოდა. საშულიერო წოდება
ემორჩილებოდა. შცხეთის კათოლიკოს-ჰუტრიარქის, მათი ეპის-
კოპოზნი მცხეთას ეკურთხებოდნენ.

სპამცხე-საათაბაგოს მთავარ გამგენი XI საუკუნის, შემ-
დეგიდამ იყვნენ ათაბაგნი, გვარად ჯაყელნი, ეს თანამდე-
ბობა მათში საშვილიშვილო სამკუდროდ იყო დაშთენილი,
მამის შემდეგ შვილი მიიღებდა ათაბაგობას, მათი სადგური

ბინა და ტახტი იყო ახალციხეში. ჯაყულის გავარის წევრთა შორის ათაბაგებში იყვნენ შესამჩნევნი პირნიცა კანონმდებელნი და მწერალნიცა ასეთი არიან მაგალითებრ: ბექა და აღბულა ათაბაგნი ამათმა საღმა საკანონო გონებამ თვით სამცხე საათაბაგოელთათვის XV საუკ. საკუთარი კანონდებაც შეადგინეს, იგინი და მათი შთამომავალნი ამ კანონებით განატობდენ მესხთა საკანონო საქმეებს. ამათი კანონები რუსულად განახლებულ დაბეჭდილია და ბაქოძისაგან და ქართულად ნ. ხიზანაშვილისაგან, ბექა და აღბულას კანონებიდამ ვახტანგ მეფესაც უნდა ეხელმძღვანლოს, უაშისობა არ შეიძლება, რადგანაც ესევე კანონები მოთავსებულია ვახტანგ მეფის კანონთ კრებაშიაც.

ასეთი დიდებული იყო სავე ტელი ათაბაგისა, ასეთი გარემოება ეხვიათ გარს, მათი სახელი სახელოვნებლა ყოველთვის საქართველოს სიყვარულით. მათ საგვარეულო საჭარხად დანიშნული იყო საფარის ტაძარი, აჭა დაკრძალულ არიან მათი გვარის წევრნი, დღეს კი ამ გვარის წევრთა მთავარნი უბრალო ისმელოს, ანუ თათრის ბეგებად იწოდებიან, მათში ყოველგვე დამხმბილია და მოსპობილი, ისლა მთან დაკავშირებულნი მოისპნენ თითქმის სრულფად, ასე და ამ გვარად, ასეთ მაღალ გვარის სახელოვნება ასე დამზადებლია და აუცი საღლეისოდ არამედ თუ მარტოდ სამცხე საათაბაგოში, არამედ მთელ საქართველოში ასეთი წეული, სამცხელთა თავად-აზნაურთაც დიდი მნიშვნელობა აქვნდათ ერის წინაშე, მათი რიცხვი დიდი იყო, მაგალითებრ: თავადნი ავლი შვილები, უალავანდის შვილები, ცოცხა შეილები, შარვაშიძე, აბაშიძე, ბერიძე, ხიმშიაშვილები, დიასამიძენი, თავადირებენი, ჯიყულნი და მრავალნიც სხვანი. აზნაურთა რიცხვიც დიდი იყო, მათი შოთამომავალნი და ლესაც მრავალი სკოვრებენ ასევე, მრავალად სკოვრებენ ლაზისტან-კანკიში ჰყელი თავად-აზნაურთა, შოთამომავალნი ხოლო უვერა ესენი დასლამთან რარიან დაკაუშირებულნი.

მრავალი შათგანი უბრალო ბეგებათ და იძიებათ არიან კნობილნი. დაცემულნი არიან განათლებით, წერა-კითხვით, ეროვნებით, თავიანთის ვინაობის სულ არაფერი იციან და არც არა ოსმალურის ენის და მწერლობის გაეგებათ რამე, აქეთაც შეცდრები არიან სამწუხაროდ და იქითაც, არც ჩვენები არიან და არც ოსმალების, უფრო კი ისლამის ფანტიკობის ზვარას შეადგენენ. ასეთია ვითარება მათი დღეს, იგინი ძველის საქართველოს განვითარების და კულტურისა ალარაფერს იცნობენ.

რაც შეეხება ხალხს, ანუ მესხელთ, იგინი იყვნენ არც იყვნენ და მათის წყალობითი სულოვნებლნენ როგორც ათა-ბაგნი, ისევე თავადნი და აზნიურნიც. გლეხთა ძლიერება რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ესენი იჭნებოდნენ. მესხთა რიცხვი რომ ძველადგანვე დიდის ერთგულებით იყო გამ-სკვალული ქვეყნისა და მამულის შვილობის წინაშე, ესა-სჩანს თვით ძველის მწერლობიდამაც, ბევრს ალაგას არიან მესხნი დიდათ ქებულნი, თვით კართლის ცხოვრებაში ბევრს ალაგას მოიხსენება ასე: ომში, რომ მესხნი არ დაე-ყენებინად წინ საომრად, მაშინ იგინი იწყენდნენ ამას და უსიამოვნება მოხდებოდა. ვაუკაცობას გარეშე მესხნი ქებულ-ნი არიან სიღარბაისლე და სწავლითუ. ასეთია წარსული მესხელ გლეხთა ხალხის. დღეს იგინი უცხოსთან დაკავშირე-ბულნი არიან, განათლებით დაცუმულნი, მათ რიცხვში ერთ-ნაწილში კაციაც ვერ ნახავთ, კარგად წერა-კითხვა არც ასმალურად იციან და არც კართულად, ეხლო კი ნელნელი ეჩვევიან წერა-კითხვას.

უნდა მოგახსენოდ, რომ ძველად სამცხე-სამთაბაგო კართველთა რიცხვი შესდგებოდა მიღიონობით და ასი ათასი ბით, მათი შინური ძალაც მძლავრი იყო და ფეხზედ და-ცუნებული როგორც საქართველოს საქმეები, ისევე მათისავა-ოჯახის და შინაურის საჭმეების. ყველამ იცოდნენ ძველად კარგად, რომ მესხნი ქებულნი იყვნენ ქონებითაც, ანუ შე-

ძლებით, მაღლა მდგარნი საქართველოს დანარჩენს ქართველებზედ. ამ გარემოებას ცხადათ შსაბუთებს ის პირობებიც, რომ სამცხე-საათაბაგოს ძველადგანვე დიდი დამოკიდებულება აქვნდა ბიზანტიის იმპერიასთან, მათში დაწრობაც წინ იყო წასული, ხელოსნობა, ზოგაოსნობაც და მრავალიც სხვა ამ გვარნი. აქედამ სხვა და სხვა საქონელი კონსტანტინეპოლის გზით თვით შვეროპაშიაც გაჰქონდათ.

ასეთის აღებ-შიცემით მესხნი ევროპაში ისე იყვნენ ცნობილნი, რომ XV საუკუნის ნახევარს, თვით გერმანის სამლელოებამაც კი მიაქცია ამათ ყურადღება, სამცხეში გამოგზავნეს ლუტერის სჯულოს მქადაგებნლნი და ათაბაგ მზედ ჭაბუკ დიდის ლუტერის სჯულთან დაკავშირებას ჰფიქრობდენ, მაგრამ ეს ვერ მოუხერხდათ, მალე ისლამის ძალამ დასძლია იგი.

რაც შეეხება სწავლის მხრით? მესხნი ისე არ იყვნენ, რაც დღეს არიან იგინი, ბიზანტიის, ევროპის და რომის გზების სიახლოვის გამო, აქ იყო ჭახსნილი ძველადგანვე დიდი სასულიერო და საერო სასწავლებლები, პკადემიები, უნივერსიტეტები, საშუალო სასწავლებლები, დაბალი და სხვანი, როგორც ვაჟების, ისე ქალების. ეს არავინ იუცხოვოს, რადგანაც ყოველივე იგი მართალია და მას ამოწმებს ჩვენი ისტორია, მესხთ განათლებულ კაცთა ცხოვრების ცნობებით, თვით ქართველთ მწერლობაც კი ამათგან აღორძინდა, ვინ არის ჩვენს მწერლობაში ძველად სახელოვანნი, რომ აქმურები არ იყვნენ. სამლრთო ფილოსოფიური მწერლობის შემქმნელ მთარყმნელნი არიან გიორგი მთაწმინდელი, გაბრიელ ქართველი, ევთომე ქართველი, მურვანოზ ეპისკოპოზი და ვინ იცის რამდენი სხვანი. საერონი: შროთა რუსთაველი, შავთელი, სარგის თმოგველი, ზავით საათაბაგოული და მრავალიც სხვანი, ენიჭ დაუთვლელნი.

თვით აქეთა მხრის მონასტრები და მათთვის სასწავლებლებიც დიდი ბრწყინვალება სხვა და სხვა შერების სამწიგნობრო შრომით, პალოგრაფიით, დაუცხრომლის ჭიგნების

გადამწერლობით რაც კართულს ენაზეთ ძვირფას ისტო-
რიული წიგნები გვაქვს. დღემდე დაცულნი იგინი სულ აქეთ
არიან დაწერილები, თვით აქაურ მსწავლულ პირებთაგან,
შეტბერდის კრებული, კართული ნოტები და სხვაც ამ გვარ-
ნიც სულ აქეთ არიან შედგენილ, ნაწერები, ოვით კატალოგს.
ჩვენის ძველის წიგნებისას კაცი განცციფრებაში მოჰყავს
თუ რამოდენა წიგნები დაწერილან აქეთა მხრის მსწავლულ
ქართველთაგან. მაშინ არ იყო აქეთ სოფელი, ოჯახი და
სხვანი რომ იქ კართული წერა კითხვის მცოდნა უთობით
არ ყოფილიყოს მაშინ იქით ყოველმა ქალმა და კაცმა
იცოდა წერა-კითხვა „ვეფხის სამართლის“ და „დავითნის“. ქალებს
ზითხვებიაც არანდნენ.

მესხთა ვაჭრობაც დაწინაურებული იყო და მეურნეობაც,
ბაც, ხელოსნობა და ხელოვნება ხომ ბრწყინავდა, აქედ
დაშევნილს ხელოვნურად ნაგებ ტაძრებს და ნაშთებს გან-
ცვიფრებაში მოჰყავს. თვით აწინდელი მოგზაურნი და მსწავ-
ლულნი. ამაზედ საუბარი აქ მეტო, რადგანც ყოველივე ივი
მართალია და უტყუარი. ამ ასეოთ ირის სურათი სამცხე,
საათაბაგოსი, ეს ჩვენ აქ ძრიელ მოკლედ მოვიხსენეთ, შემო-
კლებით ავნუსეთ, ვრცელი აღწერა ცალკე არის მომზადე-
ბული. ვნახოთ ახლა შემდეგი დრო და ხანა.

II

ისლამის გაძლიერებამ, აღმოსავლეთში, დიდად განამავ-
რა და განამტკიცა თურქების ტომი. თურქები ისე დაწინურ-
დნენ და ალორძინდნენ ერთ დროს, რომ მათ საშვალ საუ-
კუნეში. მთელის კავკასიის ქრისტიანთა ტოშთა წინამღეღ
სჯულის გამო მახვილიც აიღეს ხელში, მალე თვით ბიზან-
ტიის იმპერიისაც დაუწყეს დავა და ბრძოლა. თურქთაგან
ესტურ გრემოება აღვილი საქმე არ, იყო ბიზან იელთაოვის,
მაგრამ რას იზავდნენ. იმედი ჰქონდ თ თავის დაცვას, თურ-
ქებ უძლურ-უკულტურო ერად, მიაწიდათ, თუმცა არც ის

ავიწყდებოდათ, რომ თურქები ადრიდანვე მწარედ დაამხეს ჰაისტანთ, მოსპეს არაბისტანი და მრავალნიც სხვა პატირა თემი არამარტუ მარტო ქრისტიანები, არამედ თვით მუსულმანთა თათრის ტომის ერნიც.

ბიზანტიის ამ შავ-ბნელ დროთა 1451 წ. იმპერატორი იყო კონსტანტინე მანუელისძე. კაცი უძლიერი, და მჩატე, ისტორიკოსის გიბონის სიტყვით, კონსტანტინეს ცოლი უნდა შავრთა ქართველ მეფის ქალი, ქალის გასინჯვა და შერთვის საქმეც გათავებული ყოფალა თურმე იმ დროს, როცა ბაზანტიის იმპერიას განადგურება კარს ედგა. ოსმალთა გან იმპერატორი დიდი შიში ჩავარდა, რადგან ცომალნი მძლავრის ძალით იღებოს ჩინებულ მაშინდელზე პერძენის ბერები კი იმპერატორს ასწავლიდნენ, რაოდ თქვენ დაცუმის ნუ გეშინიანდ, ოსმალებს ლმერთის ქრისტე, მღვიმის მშობელი და ჩევნი წმინდანები მთა აკ არ შემოუშვებენო, გინდევნი რომ შემოვიდნენ აქ და იბრძოლონ, მაინც ვერაფერს გააწყობენ. ასე ფიქრობდენ, მაგრამ საქმე ისე არ აღმოსაზღადა, ოსმალთა კინსტანტინეპოლის თაღეს, ბაზანტიულთ საქმე ისე წაუხდათ, რომ თვით იმპერატორიც ქუჩაში, ბრძოლის დროს მოკვდა. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლის ოსმალთა დროშა გაიშალა.

ბიზანტიის დამხობას შემდეგ, ოსმალთა დაიმორჩილეს მთელ ბალაკანის კუნძულთა სლავიანთა სამეფოები, მიუხელოვდენ ავსტრიას, იტალიას, ვენაში მავრებიცი დაუკავშირეს ისლამს, მთელს ევროპას უპირობდენ გადაბრუნებას, ლამხობას, ამ დროის პოლონელთა და ევროპის ზოგიერთ ქრისტიანთ სამეფოებთაგან თაბირი იქმნა და მათის ძალით ოსმალნი გამოჭევებულ იქმნენ უკან, ესენი მოუიდნენ კონსტანტინეპოლის, აქ გაუმაგრეს ფეხი მათ მფარველობის ქვეშ დაშოა მთელ სლავეანთა ტომთა სამეფოება. მალე ხალხსაც დაუწეულეს ისლამთან დაკავშირდა 1455 წ. კონსტანტინეპოლის ტრიზონის ტერიტორიაზე ტრიზონის ბერძენთა მფრიდავ მპერიასაც

მოადგნენ, ესუც მალე რაიმორჩილეს და მოსპეს ბერძენზ
იმპერიაც. ტრაპიზონის იმპერიის დამხობის შემდეგ, საქარ-
თველოს მიჯნასაც მალე მოადგნენ და ქართველებსაც მალე
დაუწყეს ბრძოლა.

ოსმალ-ქართველთ ბრძოლა იწყება 1480 წლიდამ, იგი
გრძელდება დიდ ხანს, 100 წელს მეტს. ოსმალთ წალილი
იყიდ საქართველოს სრულიად დამორჩილება, მაგრამ ამას
იყინი ვერ ახერხებდნენ, რადგანაც სამცხე-საათაბაგოელნი
მედგრად ებრძოდნენ, ფეხს არ აღმევინებდნენ აქეთ-
როგორც იქმნა, ოსმალთა შეიძლეს და 1580 წლებს სამცხე
საათაბაგო ჯერეთ მეგობრათ გაიხადეს და მერე მეხარკეთ
ანუ ქვეშევრდომათ, ხოლოდ ისეთი პირობრთ, სჯული და
სამართალი უნდა ყოფილიყოს ქართული, ათაბაგები ისევე
უნდა ყოფილიყვნენ, გამგეთ, როგორც მანამდეს იყვნენ,
ფული უნდა ყოფილიყო ქართულ-ოსმალური, ერთის სიტ-
ყით ყოველივე უნდა ყოფილიყოს ქართულად, ხოლო
სამცხე-საათაბაგო უნდა შესულიყოს ოსმალთა მფარველო-
ბის თუ ქვეშევრდომობის ქვეშ, ქართველნი უნდა ყოფილი-
ყვნენ ოსმალთ ერთგულნი, ხარკი უნდა ეძლიათ, ათაბა-
გებს ერთის სიკვდილის შემდეგ ყოველთვის სულთანი დაამ-
ტკიცებდა მეორეს, მოკლედ რომ ითქვას, სამცხე-საათაბა-
გოს თავის ავტონომია აქვნდა.

ოსმალთა მორჩილების დროს, ქართველთა სამცხე-სა-
ათაბაგოში არა უჭირდათ რა, შინაური საქმიანობა გვარია-
ნად აქვნდათ დაყვნებული, ხოლო სჯულის გამო კი ოსმალ-
თა იწყეს კირთება, ჩუმათ ისლამის ვრცელება ქართველებ-
ში, ამას კი შულლიც მოსდევდა, ქართველნი მანიც მაგ-
რობდნენ, მესხნი აღვილად ვერაფერს საზომიდნენ. 1626 წ.
გარდაიცვალა ათაბაგი მანუჩარ მეორე, ამის შემდეგ, უნდა
გამთავრებულიყო ძმის წული ათაბაგისა მანუჩარ მესამე, რა-
დგანც მანუჩარ მეორე უძეო ჩყო. ამავ წელს მანუჩარ მესამე
მე კონსტანტინეპოლის წავიდა, ნახა სულთანი, თუწყა სამთავ-
როს ცნობები და ათაბაგის სიკვდილი. სულთანმა ათაბაგად

მანუჩარი მესამე დაამტკაცა, იგრ თავის თანმხლებლებით ძალები დაბრუნდა საქართველოში. მანუჩარ ათაბაგს ზღვიდამ გადმოსელის შემდეგ, ლაზისტანიდამ, მგზავრობა კლარჯეთ ართვინისკენ მოუხდა. ართვინის ახლოს, სოფლეს სვეტის, თავის ბიძაშვილს ბეჭა ათაბაკს ესტუმრა. თავის თანმხლებლებით,

მანუჩარ მესამემ ბრძაშვილს უამბო ყოველიმე ცნობები და სულთანთან პირობის დადება, რომ სამცხე-საათაბაგეოლთ ავტონომია უნდა დაშთეს. ხელ-შეუხებლად, სჯული ქართული არ იქმნეს, შემცირებულ, მათში ძალით არვინ ვადამ ბრუნონ და ბევრიც სხვა ამ გვირები ამინს სამაგიეროდ ქართველთაც მართებო ერთჯულება. მათი და ხარკის ძლევა ყოველთვის. სამწუხაროდ, შურმან დასძლია ბეჭა ათაბაგს თვალებით და გული ძექონიყო ბალვსილი ბიძას. შვილზედ მასზედ, რომ ათაბაგობა რატომ მე არ მხვდა და მას ერგოვო. ამიტომ მგზავრს ბიძა შვილს, ლამე ვახშამზედ საკმელში წამალი შეაპარა და მოსწამლა. იმ ლამესვე, მანუჩარ მესამე ძოწამლვით გარდაიცვალა. მეორე დღეს იგი ახალციხეში წასვენესთანხლებელთ. მის მერე ბეჭა ათაბაგი სტამბოლში წავიდა, მალე ნახა სულთანი, აუწყა მანუჩარ მესამის გარდაცვალება. თვით განუცხადა ერთგულება და აუწყა, რომ ათაბაგობას ეხლა თუ შე მიბოძებთ მაშინ შე თქვენი ისეთი ერთგული ვიქნები, რომ თვით ისლამსაც დაუკავშირდები, მერე ვეცდები და მთელ სამცხე-საათაბაგოს ქართველთაც სულ ისლამს დაუკავშირებო. ასეთ დაპირებას სულთანმა ურალება მიაქცია რამდენიმე წნის შემდეგ ასეთ პასუხი მისცვს ბეჭა თაბეგის.

ათაბაგობა ქართული წეს-წყობილება არის: ჩვენ ეს გვინდა მოვსპოთ და მის მავიერ ფაშობა განვაწესოდ, შენ თუ ისურვებ იმას და ისლამს დაუკავშირდები, მაშინ ჩვენ შეგვეძლება რომ ათაბაგობის მაგიერ ფაშობა გიბოძოთ. და მით დაგამტკაცოდ თქვენს ტახტზედ. ათაბაკ ბეჭა ამაზეც

დაფიქრდა და მალე თანახმობის ცნობაც განუტაღა. რამ-
დენიმე ხნის შემდეგ ბექა ათაბაგი ისლამი დაუკავშირდა,
სახელად საფარი ზურდეს და ახალციხეში ფაშად დანიშნეს.
პირველ შესულმან ეს ფაშა იყო და მერე მის მომდევარნი,
რამდენიმე ხნის შემდეგ საფარ ფაშა არზრუმის სერეს კურის
დახმარებით ახალციხეში მოვიდა და გაფაშდა. შემდეგ გამ-
თავრების დაიწყო მოქმედება და საეროდ ქართველებში ის-
ლამის სასარგებლოდ ქადაგებდა. მან ჭალე მიაღებინა ისლამი
თავის შესულლებაც. ოსმალეთიდამ ისლამის მქადაგებლე-
ბიც დაიბარა, მალე მოვიდნ ენ წარსწავლი ხოჯები, მოლები,
ხაფუზები და იწყეს ისლამის სასარგებლოდ ქადაგება, ამათ
ქადაგებას მოჰყვა ისლამის ვრცელება, მერე სასულიერო სა-
სწავლებლის დაარსება ახალციხეში, სადაც მარტოდ იზრდე-
ბოდენ მოლები. ასე და ამ კვარად, საფარ ფაშა ჯაყელის
ცდით და შრომით დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ქართველებ-
ში ისლამის ვრცელება. 160 წლის განმავლობაში მთელი უ-
კუთხე და მის მცხოვრებ ქართველნი დაუკავშირდენ ისლამი,
ზოგი ხეობა გვიან დაუკავშირდა, ზოგი აღრენდნ ისლამთან
დაკავშირებას დიდი ისტორია აქვთ.

ქართველ გამაპეალაინზულთ თავადის შეიღებს. თავადობის
მაგიერ ბეგობა მისცეს, ალდა ბეგობა, სანჯაყებეგობა, აზნა-
ურებს აღიობა და სხვათაც ასეთივე, რითაც ოსმალოს მთავ-
რობამ გაიერთოულა ესენი და ამათის გაერთოულებით ქარ-
თველ მაპშალიან დიდ ქაცა ოჯახებში ოცმალურმა ენამაც
იწყო გავრცელება, საქმე ისლამის და ოსმალური უნის სასა-
რგებლოდ ისე წავიდა, რომ 1670 წლებში, უკვე ქართველ
მაპშანდიანთაგან მოლები წარ ხოჯებიც გაჩნდნ ენა ამასეფე მო-
ჰყვა ქართველთ შორის ოსმალური ზნისა და სასამათების
ვრცელება, ოსმალოს მთავრობამ ქართველ მაპშ დიანთ თავად
აზნაურებს და გლოხებსაც დვეური წესები აღგიღ-მამულის
მფლობელობის ჩამოასუვ, ყოველივე ოსმალურად მოუწყო
შაგილითებრ; აუგას-აზნაური და აუგაც რაც რამ ძველი

საბუთები აქვნდათ, გუჯრები, სიგელები და ტევრიც სხვა ამ გვარები, ყოველივე რგინი 1720 წლებს ჩამოართვეს. მათ გაგიახლებთო, ასე უთხრეს, ძველები კუნსტანტინეპოლის წაილეს და ღვიძამ ძველების მაგიერ განახლებულნი კი არ მისცეს, არამედ სხვა, სულ სხვა სახის და შინდარსის ქალალ-დები, რომელთაც ძველი წესები ქართველ მაჰმადიანთ სრულიად მოეშალად ადგილ-მამულების მართვა-გამგეობის შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ძლიერება ქართველ ტომს მარტოდ ასეთის გარემოებით არ შოევლინა მეხად, იგინი ამას გარდა, ქართველ მუსულმანებს აძულებდნენ ქართულ ენას, ქართულ წიგნებს და თვით საქართველოს ხსენებასაცირ, რაც შეეხება საქართველოს ქრისტიანთ მცირვებთ ქართველთ შესახებ, მათაც ისე აძულებდნენ როგორც შოუნელებელ სჯულის ჭირს, ქართველი გიურიაო და სხვანი, ასეთის მიღრეკილებით მათ მუსულმან ქართველებს სასტიკად შეაძულეს ქრისტიან ქართველები, საქმემ და გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ სიტყვა „ქართველი“ მუსულმან ქართველ ჭირივით სძულდა, ის ამით ხატავდა უსჯულოს, უღმერთოს. ქართულად მოლაპარაკე ქართველ მუსულმანისთვის რომ გეთქვა: შენ ქართველი ხარ ტომით, სისხლით, შთამომავალობით, ის ამას იწყენდა ისე რომ სატევარზედ დაიდებდა ხელს. სასტიკად სჯულდათ, ვისმეს რომ ეთქვა მათვის თუ „აა შე ქართველი“ იქ საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა. ასეთის სიტყვების გამო თვით ჩვენ დროს, მათს „მეჯლიშებში“ ხანდისხან სხვა და სხვა პირთა საჩივრებიც ყოფილა ტეხილი, რომ ამ და ამ პირშე მე „ქართველი შიწოდაო“. ქართველ მაჰმადიანებში სიტყვა ქართველი გმობით ისსენება, ქართველ ქრისტიანს ხატავს, ანუ გიაურს. ზოგმა კი შეიგნო, რომ ის მოდგმით, ენით, სისხლით ქართველია და სჯულით მუსულმანი. ამაზედ ნახავთ სხვაგან. საქმემ და გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ მესხეთ ჯავახეთის ქართველ მუ-

სულმანებს სასულიერნო პირნი თვით ქართულ ენასაც აძუ-
ლებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ მაგ ენაზედ ლაპარაკს თავი
დაანებეთ, ვინაიდგან ეგ ენა უსჯულოების ენა არისო. ხალ-
ხიც ივიწყებდა ამას. ყოველივე ეს სწარმოებდა მთავრობის
მანქანებით და იმ პოლიტიკით, რომ ქრისტიან ქართველებ-
თან მუსულმან ქართველებს არავითარა სიყვარული და
შისვლა-მოსვლა არა ჰქონიყოთ, რომ მის საშუალებით მათ
შორის ოდესმე ძმერი კავშირიც არ განცხოვლებულიყოს.
ყოველივე ამისთვის ვრცელდებოდა, რომ მთავრობის წყა-
ლობით ძმას-ძმა შეძულებინა, სამშობლო ენა, ისტორია,
თავის ვინაობა და მის მაგიერ ყოფილიყო მთავრობის მონა,
ზეარაკი.

ასე და ასეთის ოსტატობის წყალობით შევიძულეთ ერთ
თმანერთი, დავივიწყეთ ერთმანეთის ხსოვნა, ნათესავობა,
ქვეყანა, ისტორია, ენა და ბოლოს ისეთ მტრებათ გადავი-
ქეცით, რომ თვით სისხლის ღვრასაც კი სიმოვნებით ვკიდე-
ბლით ხელს. დაკარგვდ ყველაფერი ერთობის, ნახევარ ოს-
მალოს საქართველოს ერი იქით დარჩა და ნახევარი აქეთ
დავრჩით, ამ გარემოებამ ისე აგვამხედრა ერთმანეთის წინაღ-
მდევ, რომ ბოლოს ჩვენის ხელითვე ვანგრევდით ჩვენს
მამაპაპაზაგან დანატოვარ ძვრტას ისტორიულ ნაშთებს.
ჩვენის დაკარგვით და დავიწყებით ბევრს ძვირფას ძეგლს
მოერთ ბოლო და მრისპო საყოველთავოდ ჩვენის ისტორია-
ის და ხსოვნისთვის. ოსმალეთის მთავრობის წყალობით,
საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ქართველ ქრისტიან
ყიცს იშვიათად რომ ქართველ მამალიან გბში ღირსებიყო
ნება შესვლისა და იქ ემგზავრნა თავისუფლად. ასეთ სისას-
ტიკის წყალობით, ქართველ მამალიანთ შორის, ქართული
ენა ბევრს ილაგას ამოვარდა, ბევრს ალაგას დღეს ეს ენა მათ
შორის ილარ იჭირნება.

III

უოველივე ამას საფუძველი დაუდო ბექა ათაბაგმა, ანუ საფარ ფაშამ. საფარ ფაშის შემდეგ, მათს საგვარეულო ტახტზე იყვნენ შემდეგი ფაშები: უსუფ ფაშა 1657 წ. როსტომ ფაშა 1659 წ. ასლან ფაშა 1670 წ. უსუფ II ფაშა 1690 წ. სელიმ ფაშა 1701 წ. ასლან II ფაშა + 1716 წ. ისაუ ფაშა 1740 წ. უსუფ ფაშა 1747 წ. ამ უკანასკნელის პირის ფაშობით გათავდა ჯაყელების გვარის ფლობის და გამგეობის საქმე. ამათ გვარის წევრთა მოსპობის მიზეზები კარგად არ სჩანს, თუ რამ გამოიწვია, ზოგნი მორჩოტებას სწამებენ, ხალხის შეწუხებას, ქვეყნის აშაგდებას, ზოგი მთავრობის ურჩობას, ოსმალეთის იმპერიის არ მორჩილებას. ამათ შემდეგ, ახალციხეს გამოგზავნილ იქმნა ფაშად, აფრიკის მთავარ სარდალი სულეიმან ფაშა ნებაძეს ქართველ მუსულმანი. ამ ფაშას მცირე ხანს შერჩა ჯალციხეს ფაშობა, მას მეტად კარგი განწყობილება აქვნდა გურიის მთავართან, სამეგრელოსი, იმერეთის მეფესთან, ქართლის და მთლად ქართველ ერთან. მცირთაგან დაბეზლებულ იქმნა იგი სულთანის წინაშე, მას შესწამეს უბრალოდ ლალატი და ამიტომ თავი მოჰკვეთეს 1750 წლებს. ამის მოადგილედ გამოგზავნეს ერთი თათარი ფაშა. რომელმაც მთელი სამცხე-საათაბაგო-გაალატაკა ქრთამებით, გააგსო ავაზაკებოთ, ავაზაკებს აკარ-ცვინჯბუა ხალხს, არბევდა შეუძლო ხალხს და მისი სამართალი ფულით იყიდებოდა. იმ ფაშის მოქმედებამ მთელი ქართველ მაჰმადიანები შეაწუხა, ამიტომ ქართველ მაჰმადიანები მის წინაღმდეგ ამხედრდენ, სტამბოლში მთავრობას მისი გაშოცვლა სთხოვეს, მაგრამ მთავრობა არ ისმენდა, მათ სხვა რალაც ქართულ სამცხოვრო მიზეზებს სთვლილნენ, ქართველთ ჟაჰმადიანებს ქართულ ორგულობას სწამებდნენ. საქმე ისე გამწვავდა, რომ უკანასკნელ ქართველ მაჰმადიანებმა ქაშაში შოკლებს და მის შემდეგ მთავრობას შეუზუალეს: როგორ და მის შემდეგ მთავრობას შეუზუალეს:

ჩვენს ქვეყანაში უცხო ტომის კაცი არ გამოდგება ფაშათაო. ამ გარემოებამ მთავრობაზელაც იქონია, სწორი გავლენა, მთავრობამც ჭეშმარიტად დაინახა ერეს ასეთი რხოვნა და დარიგება.

ამ დროს, 1765 წ. აპარაში, სხალტის ხეობაზელ სახელმოვნებლა, ქართველ თავადიშვილთა შთამომავალი ზიმშიანთ გვარის წევრნი ბეგნი—ხიმშიაშვალები. ამათაგანი იყო მაშინ გამოჩენილი აბდულ ბადა ხიმშიაშვილი. აბდულ ალა ხიმშიაშვილი ხალხში ცნობილი ყოფილა როგორც შეძლებული მემამულე, დიდის ქონების პატრონი, საქონლის და სხვაც ბევრი. ხალხის პატრონობა და მართვა გამგეობა ამას უთავნა, იგი ამისთვის ღირსეული პირიც ყოფილა, რადგანაც ცნობილი ყოფილა როგორც მართლმხაჯული, როგორც პატიოსანი და ხალხის ქობაგი. მაღვე ასეთი ცნობა ერისა სტამბოლი, სულიანისაც მწსვლია, მთავრობას რაკი შეუტყვია აბდულ ბეგ ხიმშიაშვილის ცნობა და ღირსება, იგი მაშინათვე ამ მხრის გამგე მართველად დაუნიშნავდ. აბდულ ბეგს თავის გამგეობა კარგად უმართავს, სიმართლიდ, ეს გარემოება მთავრობასაც შეუტყვია. აბდულ ბეგს ერთი თავისი შვილი სელიმ ბეგი სტამბოლში გაუგზავნია სასწავლებლად. სელიმი იქ სწავლობდა, იქ სწავლის მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მამის გვერდით განაგებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ შან სახელმწიფო თანამდებობაც მიიღო. აქ სამსახურის დროს, სელიმის მაშამ აბდულ ბეგმა იმეტაცინა და თავის შვალს სელიმ ბეგს ფაშობა სუშოვნა. ფაშობის მღებიდამ აბდულ ბეგმა თავის თანამდებობა შვილს დაუთმო, ქვეყნის გამგეობა სელიმ ფაშამ დაიწყო.

სელიმ ფაშა იყო კარგად მცოდნე თავის ქვეყნის და ერის საქმეების, მოყვარის იყო თავისუფლად გამგეობის და მოქმედობის მოტრფე, მალე განლილებაც მიიღო. იგი თამაროს ერთგული იყო, ამათ სასარგებლოდ შრომობდა ჭადუც 1784 წ. ამას დიდი შეტაცება და ომიც მაუხდა გურიას.

მთავრებთან, ხოლო იშავ დროს იყო აქარელთ თავისუფლების მოყვარეც, ამას ნატვრა აქვნდა, იქარა, ანუ სამცხე-საათაბაგო ოსმალთა ფლობისაგან განთავისუფლებულიყოს, იგი ძველებურად, აკტონომიურად ყოფილიყოს და მის ათაბაგად სელიმ ფაშა დამდგარიყო, მერე ეს თანამდებობა უფლებით მათს შეიღებზედაც გადასულიყოს მემკვიდრეობით. სელიმ ფაშა ამის სასარგებლოდ მოქმედებდა.

მის განზრახვის წინააღმდეგი იყო ოსმალოს მთავრობა, ამიტომ სელიმ ფაშამ მათ ომიც გამოუტხადა, ოსმალთა ჯარის გარეკას უპირებდა, ხირხატის ციხეში ჯარი შეიყვანა, თან 10 წლის საგძალი შეიტანა და ოსმალთ ომიც დაუწყო. პირველად ომში სელიმ ფაშა სჯობნიდა, უკანასკნელ კი იძლივა შინად გამცემთ წყალობით, იგი დამორჩილებულ იქმნა და 1815 წ. თავიც მოჰკვეთეს ოსმალთა ბრძანებით. ქართველ მაჰმადიანები ოსმალოს მთავრობას ჯარის კაცებს არ აძლევდნენ. სელიმ ფაშის დამორჩილების და თავის მოკვეთის დროს კი ისურვეს ჯარის კაცთა, ანუ ნიზამის გაყვანა, მაგრამ ვერც მაშინ ესე იგი 1815 წ. მოახერხეს, ეცადნენ ბევრს და მხოლოდ ქართველ მაჰმადისთავან ნიზამი, ანუ ჯარის კაცნი 1854 წ. გაიყვანეს პირველად.

სელიმ ფაშის შემდეგ, მთელს სამცხე-საათაზაგაში ხახებულოვნებდა ახმედ ბეგი— ეს სელიმ ფაშისა, რომელიც ოსმალურად ნასწავლი კაცი იყო, ქართული წერა-კითხვაც კარგად იცოდა, ამის ნაწერი ქართული წერილები მეც მინახავს. ახმედ ბეგმა, ფაშობას მალე მიაღწია, მალე განდიდებაც აწყო. 1828 წ. ახალკიხის ფაშად იყო, გაზაგებდა მთელ ქართველ მაჰმადიანთ საქმეებს. ახმედ ფაშამ სელიმ ფაშის კვალს მიჰსაბა, მან 1826 წლიდამ, რუსის მთავრობასთან საიდუმლოდ მოლაპარაკება დაიწყო, სურვილი აქვნდა რუსეთის საქართველოსთან დაკავშირების იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა სამცხე-საათაბაგოს ძველს ათაბაგურს წესებს აღუდგენდა და მთავარ გამგედ ახალკიხეში ახმედ ფაშას დას.

ტოვებდა, მერე ეს უფლება მის შთამამავლობაზედ საკუთ-
რებად გადავიდოდა.

სხვათა შორის ამის გამო მას მოლაპარაკებაც აქვნდა იმ
დროის საქართველოს მთავარ-მართველთან, მთავარ მართვ-
ელი თანახმა იყო ამისი, ეს ამბავი ამან იმპერატორსაც აკ-
ნობა. ახმედ ფაშის შესახებ ასეა ნთქვამი სამხედრო არქივის
უურნალში, საიდამაც უხელმძღვანელია პატივცემულ გიორგი
ნიკოლოზის ძე ყაზიბეგს, ამ საქმის შესახებ გიორგი ყაზი-
ბეგს ეს სიტუვები მოჰყავს თავის წიგნში და ჩვენც აქედამ
შემოგვაჭვს სიტუვით სიტუვა რუსულად *):

„Если только русскіе оставятъ за нимъ Ахметъ
пашей, его владительскіе права и дадутъ чинъ гене-
рала и лентъ“. ამ საქმის მოსალაპარაკებლად დანიშნული
იყო იმ დროის ცნობილი გენერალი ვ. ბებუორვი, ეს უკუ-
ლმართად დატრიალდა, საქმე ჩაიფუშა. 1829 წ. რუსებმა
ახალციხე ომით აიღეს, ახმედ ფაშა არზრუმს გადიუვანეს,
უფრო დიდი თანამდებობა მისცეს, არზრუმის სერესკერობა,
მთავარ ფაშის გამგეობა, ეს არზრუმს გარდაიცვალა, 1850 წ.
დასაფლავებულია იქვე არზრუმს, ლალა ფაშის ჯამეში. ამ
ახმედ ფიშის ძე გახლდათ, ჩვენში კარგად ცნობილი შერიფ
ბეგი ხიმშიაშვილი.

შერიფ ბეგმა მამა პაპის განძრახვას დადი ყურადღება
მიაქცია, მას სურვილი აქვნდა საქართველოსთან შემოერთვ-
ბის, ამაში გაახილა თვალები და ამითვე დალია უკანასკნელი
თვისი დღენი. ოსმალოს საქართველოს შემოერთვებამდე, ამა-
სთან მგზავრობდნენ ყველა ჩვენი მოგზაურები და ცნობებს
ჰკრებდნენ. შერიფ ბეგი მახვილ გონიერი კაცი იყო, კარგად
მცოდნე ქართულის წერა-კითხვის და ძველებურის ამბების,
ამის კაი მეგობრები იყვნენ თ. გრიგოლ გურიელი და მიხეილ
მეფისოვე.

*) ლაზისტანსკიй Санджахъ, Тифлисъ, 1871 გ. გიორგი ყა-
ზიბეგისა.

•მათი ნატურა იყო სამცხე-საათაბაგოს რუსეთის საქართველოსთან უომრად შეშრებულთება, ეს მოხდებოდა კიდევ, შეგრაშ ბოროტ პირთა შეოხებით საქმე ომით გათავდა, შეშრების დროს, შერიფ ბეგშა მაინც იშრომა და იმეტადინა, რომ ცოტა სისხლი დაღვრილიყო. სისხლი დაიღვარა მაინც—ამაოდ, 1878 წ. შეერთებულ იქმნა აჭარა; ქობულეთი, ლივანა, შავშეთ-კლარჯეთ და სხვა თღვილებიც რუსეთის საქართველოსთან. შერიფ ბეგს გენერლის ხარისხი მისცეს და ჯამაგირი, ასევე სხვა ქართველ მაჰმადიანთ იმ პირთ, რომელთაც ისურვეს მამა პაპეულს მიწა-მამულზედ დარჩენა, ჩვენთან შეშრებულთება, მაინც შემოუერთებელი დაშთა ჩვენთან მთელი ლაზისტან-ჭანქთი. მასთან სხვაც ბევრი ადგილებიც, შეერთების რამდენიმეს ხნის შემდეგ, როცა რუსოსმალთ ადგილების მიჯნები და საზღვრები დაიდო, მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ხელში იმ დრომდე დარჩენილ საქართველოს საზღვრებში გადავიდა აუარებელი ადგილები, მაგალითებრ მთელი ხახულის ხეობა, იშხნის, არჯევაძიანთ ხეობა და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ადგილები, მთელი სივრცე რამდენიმე სამაზრო ადგილების.

ამ დროსაც განმეორდა ის შეცდომა, რაც 1829 წ. ომის დროს მოხდა, რომ შეცდომით ჭოროხის მაგიერ რუსულად ჩოლოქი იქმნა ანუსხული, რადგანაც რუსულად ვასო არ არის და ამის შეცდომის წყალობით იმოდოლა სიერცე რუსეთთავან ქართველთა დახმარებით და სისხლით აღებული ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა. ამ ახლაღ შემოერთებულს კუთხეში დ. ბაქრაძემ კი მოასწრო მგზავრობა და იქაური ხალხი და ნაშენები ასწერა კიდევ, ზოგან ნაშთებთ სურათებიც გადაიღო. შერე კი ყველა ეს ადგილები ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა, იქით, ძლიერ ბერს ალაგას, ქართველ მუსულმანები თავიანთ დედა ენაზედ ლაპარაკობენ;

დიდის ხნიდამ დაშორებულთ ქართველთ, გვერირსა შეურთება. ამ შეერთებას აქვნდა ჩვენის ტომისთვის დიდი მნა-

შვენელობა, დიდი სასიხარულო მოვლენა, ვამბობთ, დიდი მნიშვნელობის ჩვენ მიტომ ვაძლევდით, რაღგანაც 1629 წლის შემდეგ 1878 წლამდის, ჩვენ და ქართველ მაჰმადიანთ თითქმის მიგვავიწყდა ერთმანერთის ცნობა, არსებობაც კი, მთელი სამცხე-საათაბაგო გახდა ოსმალოს საკუთარ სათათ-რეთად. ჩვენ ქრისტიან ქართველებს დაგვავიწყდა ჩვენი გა-ნათლების კერა, ჩვენი აკვანი სიბრძნისა—მესხეთ ჯავახეთი. დავკარგეთ ყველა ცნება და ხსოვნა როგორც ჩვენის მოძმე-ების შესახებ, ისევე მთელის ჩვენის წარსულის, ნაშთების და იმ მნიშვნელობის, რაც კი ამ ძველს კულტურულს კუთხის აქვნდა მინიჭებულ აღორძინებული. მაინც ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში იყვნენ თვითო თროლა ისეთი პირნიც, რომელ-თაც ისტორიით ახსოვდათ ეს კუთხე, იცოდნენ მისი მნიშ-ვნელობა და მისთვის გულ-ჩათხრობილნიც იყვნენ, გულ-დათუთქულნი. ასეთი პირნი მწუხარებით და გოდებით მოს-თქვამდნენ ხსენებულ კუთხის დავიწყებულ ძმათ შესახებ ვაებას. ყოველი მათგანი სწუხდა მათს დაკარგვაზედ მწარედ. ყოველ მათგანს გული უდუღდა ქართველთ მაჰმადიანთ მდგო-მარეობაზედ.

რამდენათაც ჩვენ დაგვავიწყდა სამცხე-საათაბო და იქა-ური ქართველობა, იმაზედ უფრო უარესად და უფრო მკაც-რიდაც ჩვენ დავავიწყდით მათ. იმ დროის ოსმალთა სახელ-მწიფო და სასულიერო გამგეობის საშუალებით, ქართველებმა დაკარგეს თავიანთი უფლება, ქვეყანა, სჯული, წიგნები, ენა, წარსულის ხსოვნა, ისტორია, თავიანთი ვინაობის მოგონება, თითქმის ყოველივე დასოშეს და ისე დაიკარგნენ და ისე გადასხვაფერდნენ, რაც ძველის განათლება-კულტურის მეს-ხელთ კი არ შეჰქერობათ, არამედ ველურ ერს. დავიწყე-ბისა და დაკარგვას გარდა, იწყეს შეძულება-მტრობაც მთე-ლის ქვეყნის და წარსულის, ზიზლი ქართველობის, გმობა მისი, მტრობა განუსაზღვრელის სიმძულვარებით და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენ სავნებელ მხარეების.

დაკარგვ-დავიწყებაც შეიძლება და დავიწყებაც, მაგრა ისე დაკარგვა, ისე გადასხვაფერება და ოღვა თავის ქვეყნის და ცნებიერების ასპარეზიდამ, როგორც ქართველ მაჰმადია. ნები აღიგავენ ოსმალთა მძლავრების წყალობით, ეს კი შეუძლებელი არის და გონის შოუვალი. ქართველ მაჰმადიანები ისე დაიკარგნენ მწიგნობრობის და თვისი ვინაობის ცნობილამ, რომ მათ ერთი სიტყვის თქმის შნორ; აღარ აქვნდათ თვისის მამაპაპათა ცნობის, ქვეყნის, წარსულის, ვინაობის და სხვანი. რომ გეკითხათ რამე, იგინი პასუხს ასე მოგცემა დონენ: ჩვენ თათრები ვართ, თათრებათ დაბადებულნი, ეს ქვეყანაც სათათრეთის ყოფილა ძველადგანვე, აქ ქართველების თავის დღეში არვინ ყოფილა, თამარ შეფეც თათარი იყო. ერთის სიტყვით ოსმალეთის მთავრობამ ეს ერთი ისე გადასხვაფერა, ისე გადააგვარა, რომ გულიდამ სრულიად ამოუწუწნა ყოველივე ცნება, ხსოვნა თვისის თავის და ვინაობის.

ასე გადაგვარებულთათვის დედამიწაზედ აღარა არსებობდა-რა თვინიერ ქართული ენის დაკარგვის, დავიწყების, გა-დაგვარების და სხვანი. ასეთის გულ-გრილობით და გადა-გვარებით, ქართველ მაჰმადიანებმა მრავალს ალაგას დაკარ-გეს თავიანთი ლვიძლი დედა ენა და მის მაგიერ შეისწავლეს ოსმალური, ასე და ამგვარად, უნდა ვსთქვათ. რომ ქართუ-ლი ენა დიკარგა მთელს ყარსის გუბერნიაში, რადგანაც განაპირა კუთხეა ეს, ამიტომ აქ წინადვე იწყო ქართულმა ენამ მოსპობა, მოისპო ასევე მთელს არდაგანის (არტაანი) ოლქში, სადაც ძველად იყო შესანიშნავი ბანა. მოისპო ოლ-თისის ოკრუგში, შავშეთში, ჩრტანუჯისკენ, ახალციხე, ახალ-ქალაქისაკენ, ფოცხოვს, ქვაბლიან ართვინისკენ და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვაგან, ენით უთვლელს აღვილებს.

ისიც კი უნდა ითქვას, რომ დღემდე ბევრს ასეთ გა-დაგვარებულთ კიდევ ახსოვთ, რომ ისინი ნაქორთველარნო არიან და ამიტომ თავიანთ თავსაც გურჯას უწოდებენ. შევ-

შეთში ვნახე ერთი ქართველი მაჰმადიანი, გვარი ვეითხე-
შვი მომიგო ოსმალურად, რომ მე გორდაზე ვარო. ვინ ხარ
ტომით მეთქი? მან მომიგო: „გურჯიო“. მერე მიზეზები
ვეითხე ენის დავიწყების და მანაც მიამბო მიზეზები ამისი.
ამათი გადაგვარება და ისე დაკარგვა იმასაც მიეწერება, რომ
ოსმალოს მთავრობა XVII—და XVIII საუკ. მრავლად ასახ-
ლებდა ქართველ მაჰმადიანებს შორეულს ოსმალოს კუთხე-
ებში და მათ მაგიერ ქურთები, თურქები და სხვა ასეთ ნი-
მოჰყვანდა და ასახლებდა რათა ასეთის ოსტატობით, ქართ-
ველთ უფრო მაღლ დაკიწყებოდათ ქართული ენა.

ეს წალილი მათ შეუსრულდათ და ქართველმა ადრილ-
განვე ბევრს ილაგას დაკარგა ქართული ენა. ასე დაკარგვა
და გადაგვარება ერთის მხრით საოცარიც კი უნდა იყოს ჩვე-
ნთვის, მაგრამ ქართველებში საკვირველი არა უნდა იქნეს-
რა. ყოველივე ჩვენში მოხდება, ჩვენი ბუნაბა ასე მოეწყო
და წახდა ამ ორი საუკუნის განმავლობაში. დღეს, ქართვე-
ლო მაჰმადიანი არის სამწუხარო ნაშთი, არა შესაფერი ძოვ-
ლენა მათის დიდის წარსულის და შესანიშნავის წინაპრების.

რაც ქართველ მაჰმადიანებმა დასთმეს ერთხელ ქართუ-
ლი ენა, ზე და ხასიათი, მერე მის მაგიერ ოსმალურის შე-
ოვისების მიეცნენ, ეს იყო მათი საქმე, ცდა სჯულიერად
და ცდა ერთვნულადაც, თუმცა უმეცრულად. თვით მათი
ხაფიზები აუწყებლნენ და ამავრებლნენ ასე: ქართული ენა
დაწერიწყოთ, რალგანაც ეგ თქვენი სჯულის ენა არ არის, არ-
სად მაგ ენაზედ ხმა არ ამოიღოთ, თუ გაგიჭირდეთ, მაშინ
კა ას სიტყვაზედ მეტი არსად არაფერი სთქვათ, ამის მაგა-
ლითები მე ვნახე ახალციხე-ახალქალაქის ქართველ მაჰმა-
დიანებში, სადაც უმეტესობა გაფანატიკებულია, ქართული
ენი ზოგ ილაგას დაკარგული აქვსთ, ზოგ ილაგას შერჩენი-
ლი, მაგრამ სადაც იციან, იქაც მალამენ ამას და თუ არ
დიდის წვალებით და გაჭირვებით ამაზედ ხმას არსად ამოი-
ღვენ. მაის შესახებ ქართულ გაზეთებშიც უწერით მრა-

ვალჯერ სხვა და სხვა პირთ, სულ ამის წყალობა გახლდათ, რომ შეა გულ მესხეთ-ჯავახეთის და ფოცხო-ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანებში აღრიდგანვე იწყო ქართულმა ენაშ ამოვარდნა და სადღეისოდ იქ ეს ბევრს ალაგასაც არის და-კარგული ქართველთ შორის. გადაგვარებულ ქართველთ გა-დირქვეს თვით სახელი და გვარებიც, შვილი და ძეთა მა-გერ თლლები იწოდეს.

ამას გარდა იმეცადინეს და ბევრს ალაგას ქართულ სა-ხელების მაგიერ თათრული სახელები უწოდეს მდინარეებს, როგორც მაგალითებრ: ფოცხეფ-სუ, აჭარ-სუ, ჩერუჭ-სუ და სხვანი, ასევე შეუცვალეს სახელი ბევრს ალაგას სოფლებს, მთებს, ტყეებს და ვაკე აღგილებსაც, ყველა მათ დღეს რა-მალური სახელები ეწოდებათ. რაკი ქართველები ასე და-კარგნენ, ასე გადასხვაფერდნენ, ამ გარემოებას ასმალთა სასულიერო წოდება უფრო აფართოვებდა, იგი ყოყელივეს სპობდა მათში მძლავრად და მუსრავდა. მათის წყალობით ქართველ გა ანებში უმეცრებამ აიდგა ფეხი ერთს გა-გებულს სიტყცას მათში არამც თუ უბრალო კაცი იტყვის, არამედ ბეგები, მოლები და ხოჯებიც. მე ვნახე სტამბოლის სასულიერო სასწავლებლის უფროსი მოწაფენი, ერთიც მოლა, გვარად შოთიძე, მაკახელელი, ვითომდა ნასწავლი, მაგრამ მე მას ჭრა შევასმინე-რა ვერც საშშობლო ქვეყანაზედ, ვერც საქართველოს ისტორიაზედ და ვერც არა სხვა ასეთ კით ხვებზედ. წამ და უწუმ იტყოდა: ჩვენ ყველაფერი ვიცით, ალემანჯი, ფრანსე და სხვა.

ვიტყვით იმასაც, რომ როგორც ჩვენთ შორის, ისე ქა-რთველ მაჰმადიანთ შორის იყვნენ თითო თაროლა ისეთი ბირები, რომელთაც კარგად ესმოდათ. შეერთების მნიშვნე-ლობა და ჩვენც ფიცით და სიყვარულით უმტკიცებდით მათ, რომ მით გაქრისტიანების შიში არა ჰქონიყოთ, სჯულის გამოცვლის. უმტკიცებდით, რომ ჩვენ, როგორც ერთი სის-ხლის შვილებს, ერთი ქვეყნის, ერთი ენის და ერთი ასტო-

როის, გვენატრება რომ მხოლოდ შევერთდეთ, ძმურად ხელი ხელს მივსცეთ, განათლებით ავსდგეთ, დავწინაურდეთ ცოდნით, სწავლით, მეცნიერებით, ხელოსნობით, ვაჭრობით, ისტორიით და ოჯახურის წარმატებით.

ომებიც გათავდა. ბათუმი თავის მიღაშოების რუსეთის საქართველოს დაუკავშირდა. დაკავშირების დროს, ბევრს ალაგას ქართველ მაჰმადიანები წინააღმდეგი გახდენ, ამბობდენ: „რუსეთს არ ჩვებარდებითო“. მეორე თასმალოს სამხედრო სარდალსაც აუწყეს ასე: — „ჩვენ თასმადათ არ უყიდნა გართ, რომ ახლა იგი გვეცილის“. ამას გარდა იმაზედაც დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ გურჯება გართ, ეს ქვეყანაც გურჯისტანია და თასმალი ნუ გვიშვრება ასასძო“. ასეთი საჩივარი ტრაპიზონის ინგლიზის ელჩისაც აუწყეს, მგრამ რა აქნებოდა, არაფერი. საქმე ცუდათ აირდაირია, სორა იცოდნენ რა ექმნათ. ყველა ამბობდა:

„რუსები შემოკლენ, გაგვაქისტიანებენ, ქალ-ბაჟანას შავვტაცამენ, შერე ზულ გავქართველდებით. დავილუპეთ, ჩვენი ბინა აქ აღარ იქნება, დაიღუპა მუსულმანია, წავიდეთ, წავიდეთ. გეთოი, გეთოი“.

ხალხის ასეთ გარემოქმდას ყურადღება მიაქციეს. სხვა და სხვა ხოჯებმა და მოლებმა, ამათთან კაცრის კაცთაცა, დაიწყეს ხალხის ამხედრება და მის სამზადისი, რომ რუსეთს არ ჩვებარდეთო. თუ ჩაბარება მოხდება, მაშინ ჩვენ აქ აღარ გვედგომება, უსჯულო გიაურებს ვერ მივენდობით, იგინი ჩვენ გაგვაქართველებენ, ამიტომ ისევ აყრას და მუჭაჯირად წასვლა უნდა ვიფიქროდო. ხალხის ასეთ ფიქრებს დერვიშ ფაშაც უწყობდა ხელს. და რუსეთის ჩაბარებასაც აგვიანებდა, რომ მის საშუალებით, მქადაგებლებს მოემზადებინათ. გადასახლებაზედ გადასახლების ნიადაგი. დერვიშ ფაშის ასეთი განძრახვა აღა ფაშამაც იცოდა და ამიტომ ესეც მოქმედებდა. თავის ამხანაგებით მუსულმან ქართველთ გადასახლებაზედ.

აღი ფაშა მუსულმან ქართველთ გადასახლებაზედ. მით უფრო ფიქრობდა, რადგანაც მას დიდი უსიამოვნება აქვნდა.

დერვიშ ფაშასთან გამართული, აქ აშათ ბაირახტარად ის გახდა, თუ რომელია რომელს აჯობებდა გადასახლებაში და რომლის სიტყვით უფრო ბევრი იყორებოდა თავის მიწა-მამულიდამ, თავის სამშობლოდამ და შორის საცალა უცნობ ის მაღლთა დადგილებზედ გადასახლდებოდა. აშათ მთელი კვეყანა შეალეს და გადასახლებაც მოამზადეს, ხოლო ამ დროს, ქართველ მაჰმადიანთ შორის იყვნენ თითო ორობრივ ისეთ პატიოსან პირნიც, რომელნიც ქართველ მაჰმადიანებს ჩაბარებას ურჩევდნენ და თვის სამშობლოს არ დაკარგვას, ფეხის არ მოცრას, ასეთი იყვნენ მრავალნი დაშათ შორის შემდეგნიც:

ჭასნ ეფუძნდი ხალიფაშილი — სოფ. მერისელი, აჭარის მუფლი და „მეჯლისის“ ყადი. იცოდა ჩინებულად ქართული ენა და ამ ენას ჯამეშიაც ხმარობდა ქადაგების დრონ. ერთ დღეს, ამან დააწყნარა აჭარის აღელვებული მუსულმანობა. გარდაიცვალა 1890 წ.

ტუპამ ბეგი შარვაშიძე — აჭარელი ბეგი. რუსების დროს იჭარის უფროსი, კაცი გონიერი, დიდით მაყვარე თავის ჭვეულის და ხალხის. ამ საპატიო პირს მეტად დიდი ამაგი მიუძღვის აჭარელთა წინაშე. ეს პირი ამაგდარია ამით. ამ პატარა წიგნში მოკლედ ვსწერთ, რადგანაც მეორე წიგნში ამის ამბები ვრცლად გვაქვს ანუსსული.

ახმედ ეფუძნდი ხალგაში — მარადიდელი. რუსობის შემტებ ლიგანის უფროსი. გონიერი — კაცი, დიდი მეგობრი. ტუპამ ბეგ შარვაშიძის და მუსულმან ქართველთ წინაშე დიდი მოამაგე. ლიგანის აღწერაში ამ პირის შრომას ვრცელი უადგილი უკავია და ამიტომ აქ ეს ვაკერედ. იყვნენ თითო ორობრივ კიდევ სხვა ქართველთ მუსულმანები, რომელთაც ჩვენ სხვაგან ვსწერთ ესენიც მღვიძარედ იყვნენ და დიდათ სწუბედენ მუსულმან ქართველებზედ. ამათაც დიდათ იშრომეს და მუსულმან ქართველთ რიცხვი სხვაფერ მომზადეს. ეს ამბები დერვიშ ფაშამაც შეიტყო ქარგად. მაშინ ამან ხელდახელ გეგმა შეცუალა და უცბათ აჭარლებს ასე აცნობია.

ფადიშხის (სულთანი) ბრძანება არის, რომ თქვენ რუსეთს უნდა ჩაბარდეთ, თქვენს ქვეყნებს ჩვენ მათ არზრუმში ვუცვლით. ჩვენთვის არზრუმი უფრო ძვირფასია, ვიდრე ეს თქვენი გურჯისტანი. აშას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, აქედამ ოსმალოს არაფერი შემოსავალი აქვს. ბათუმი ჩვენთვის მკვდარია. ანგარიში არა აქვს. რადგანაც ბათუმის იქითა გურჯისტანი რუსეთისა არს და ჩვენ იქით გზა არა გვაქვს. ჩვენი ვაჭრობა და ძალა არც იქით მიღის და არც აქეთ მოდის, როცა ეს ქვეყნები ჩვენს ძველებს აულიათ, მაშინ იმათ ფიქრად ჰქონიად მთელი გურჯისტანის დამორჩილება, მიტომ გამაგრებულან აქ, მაგრამ ეს ვერ მოხდენიათ, მთელი გურჯისტანი ვერ დაუმორჩილებიათ, მარტოდ ეს კუთხეები დაშთენილა მათ ხელში, ამით გათავებულა საქმე. ჩვენთვის ბათუმი უმნიშვნელო ბოლაზია. ამიტომ თქვენ უნდა ჩაბარდეთ, ბრძანებას დაემორჩილეთ, თუ არ იქმო ამას, მაშინ მე ამოვალ ოსმალოს ჯარით, დაგიმორჩილებთ და ისე ძალით ჩაგაბარებთ რუსებსკო.

ასეთმა ბრძანებამ ხალხზედ გვლენა იქონია. იგინი დაემორჩილნენ ბრძანებას, რადგანაც მორჩილებას თვით შესმენილ ქართველ მაჰმადიანებიც ჰქადაგებდნ.

ამ დროს, ჯერ კიდევ იქ იყო ალი ფაშა თავდგირიძე, დერვიშ ფაშა ალი ფაშას ორგულობას სწამებდა, ღალატი, ეუბნებოდა: — თქვენ ქართველები ხართ და თავისი ლალაკობთ და ილი ფაშა კი უარს ეუბნებოდა. ალი ფაშას ოსმალეთში გადასახლება ელოდა. ამ დროს ამასაც ჰყვანდენ შევრი პატივის მცენლები. ამათ დაიწყეს ქართველ მაჰმადიანებში გადასახლებაზედ ლაპარაკი, ქალაგება ცხარედ. მოკლეს ჭრობის განმავლობაში მთელ ამ მხრის ქართველ მუსულმანები ფეხზედ დააყენეს, ყველას წაუნერგვს ასმალეთში ფარისიახლების ფიქრები. ასეთის ქადაგების წყალობით, ქვეყანა მირით, ქობულეთი, ბათუმი, აქარა, მაჭხელი, ლივანი, და სხვანი, ხალხმა აღიარ იკოდა რო ექნა, ალი იცოდენ მით

შუფრო, რადგან აც გარდასახლების წამქეზე ბელთ შორის ერთ
ისეთი პირიც, როგორიც იყო ალი ფაშა თავდგირიძე. მეტად
დიდი დანაშაულობა მიუძლვით პმათ სამშობლო ქვეყნის და
ერის წინაშე, ნამეტურ ქართველ მაჰვალიანებისა.

მოკლე დროის განმავლობაში, ალი ფაშა და მის ამხა-
ნაგების წყალობით, ქართველ მაჰვალიანობა დალუპვის გზას
დაადგა, ყველა გადასახლებას ფიქრობდა, ცხონებას იქით
ელოდნენ. ამ უბედურს აყრას და ხალხის დალუპვას იცავდენ
მრავალნი და ერთი მათგანი ალი ფაშა თავდგირიძე. ალი
ფაშას ამხანაგი იყო ყემპერ ალა ტაკიძე, ქამილ ფაშა ხიმ-
შიაშვილი, რომელიც იმ დროს, ოსმალეთში სცხოვრუებდა
და ქართველ მაჰვალიანთ გარდასახლებულთათვის საცხოვრე-
ბელ აღვილებს ეძებდა. უხვთოდ აიყრა დიდი ძილი ხალხი
და გადასახლდა ოსმალეთში. ალი ფაშა თავდგირიძესაც ელი-
რსა თავის წადილის შესრულება, მას სულთანი ასეთი ჯილ-
დოსთვის კარგს ულუფას მისცემდა და მეორე დერვიშ ფა-
შის წინაშეც გამართლდებოდა, გამოსჩნდებოდა, რომ მას
დერვიშ ფაშა ტყუილად სწამებდა ლალატს.

ილი ფაშას და მის ამხანაგების წყალობით სამი წლის
განმივლობაში 150 ათასზედ მეტი ქართველ მაჰვალიანები
გადასახლდენ ოსმალეთში. აქ დაკარგეს სამშობლო, სახლი,
კირი, აჭყენენ ალი ფაშას და მის ამხანაგებს და წავიდნენ
იქით, საითაც მათ მომავალში დალუპვა დახვდით წინ. ამ
მქადაგებელთა მეოხებით დაიკალა მოელი ქობულეთი, მაქა-
ხელი და ნახევარი ლივანი. აჭირაც დაიცლებოდა, მაგრამ
აქ იმის წინააღმდეგ იყვნენ შემოდ სახელდებულნი პირნი, მი-
ტომ იჭარიდამ ცოტა დიძრა ხალხი. შესანიშნავი ვაუკაცები
დაგვაკლდენ ენ, შეითა, დიდი ქალი მეოჯახენი გაგვითუჭდენ ენ
და დაგვილუპება, სულ ვაუკაცობით მომზადებული სამხედრო
გმირები, კარგად გამოწურთვნილნი.

ამაზედ ბევრს არის ვიტყვით, მოვიყვანთ აქ ალი ფაშა
თავდგირიძეს სურათს, როგორც მთვარ მომქემედს პირისაც,

ეისის წყალობითაც რამდენიმე ასა ათას ქართველ მაჰმადიანშა დაკარგა თავის ქვეყანა და სახლ-კარი, უკელა ეს გადასახლებულნი თუ რა ბრვე, წამოსადეგი და გმირ-ვაუკაცები უნდა ყოფილიყვნენ, ამას გამოაჩენს თვით ალი ფაშას გვერდით დახატულ თან ხლებულთ სურათები, რომელთა მსგავსი სანითაც გაიცხო მთელთ ასმალეთი. მიტომ მოვათავსეთ აქ ესენი. იქ ესენი ჰკარგავენ თავიანთ დედა ენას და ქვეყნის ხსოვნას. ასევე დაკარგეს მრავალთა თვით საქართველოში.

ასე დავეცენით, ასე დავკნინდით და ხადლეისოდ გავხდით ცოცხით დასაგველები, ევროპის ურთა შორის, ქართველ მაჰმადიანები ჯერ გამოსჩნდებიან ხალხად, ვერც ერად, იგინი იქმნებიან სამწუხარო მოვლენანი, მასთან სამარცხვინონიც. ამიტომ ვინატრებთ მაღალის კულტურულის განვითარებით ქართველ მაჰმადიან გამცნებას და გაღვიძებას. ჩვენს და მათს სიმკვდრეს და უკულმართობას ხანდისხან მაინც ევლინებოდნენ მკურნალნი და დოსტაქარნი, როგორც ცხოვით, ქართველთ შორის სჩნდებოდნენ. თითო თროლა ისეთი გულშემატკიცარ პირნიც, რომელნიც ასე დალუპულ და დაქვეითებულ გადაგვარებულ ერთა შორის ბედავდნენ მგზავრობას და ანუსხვას იმ ადგილების და ქართველ გარემოებათა პირობების რაც კი ასმალთაგან იქმნა უწყალოთ დალუპული.

მოკლეთ უნდა ითქვას, რომ ასმალეთის მონების წყალოეთ გაუქმდა ნახვარ საქართველო და მის ერი, მრისპომასში ყოველივე ქართველთა. რაც კი მოისპონ ჩვენთ შორის, მასზედ დროვინვა და გოდება ალარ გვმართებს, მოვიყვანთ ახლა აქ იმას, თუ ჩვენ დროიმდე სადა და რომელ კუთხის შორის შეინარჩუნეს ქართველ მაჰმადიანების ქართული ენა, დღეს ქართველ მაჰმადიანთ შორის სად და რომელ ადგილთა თემზედ ლაპსრუკობენ თავიანთ დედა ქართულ ენაზედ. უგვეველია აქ ეს თავის სისრულით ურ გვექნება ანუსხული, რაღანაც მუ ვერ შევძელ მთელს მუსულმან საქართველოში მგზავრობა. დღემდეჯ ასმალოს ხელში ბევრი აღვილებია

საქართველოსი დაშტენილი, სტაც ქართველთ ზოგ ალაგა
ქართული ენა არ დავიწყებიათ და დღემდეც ამ ენით ლაპა-
რაკობენ. ზოგ ალაგას კი დაკარგეს. აჭ ჩვენ მოგვყავს იმ
სოფლებთა ცნობები, საითკენაც ჩვენც ვიმგზავრედ.

ქოგულეთის სოფლები ჩახაბრაზდე.

სოფ. ქაქუთი, ლელვა, წყავრუკა, სკურე, ჩეხედენი,
აჭყვისთავი, ზენეთი, ალამბარი, გვარა, ხუცუბანი, ძველ-
ქობულეთი, კონდიტი, კოხი, კვირიკე, დაგვა, სამება, ჭახათი,
კვჭიეთი, ვარჯანული, ტყე მაკრავი, ცხემუანი, კობალაური,
ზარა-ბოსელი, დიდ-ვაკე, ზემო ხინო, ჩაქვა, ხალა, ჩაქვის-
თავი, გოგაძნები, მახინჯაური, ორთობათუმი, ყოროლის-
თავი, აგარა, ახალშენი, ხალვაშენები და ბევრიც სხვა წვრილ
სოფლებს, რომელთაც თავთავიანთი სახელი აქვთ, მასში
მცხოვრებთ რიცხვი კი მცირება, ზოგში ხუთი კომლია, ზოგ-
ში მეტი, ზოგს ნაკლები. ყოველს შემთხვევაში უნდა ით-
ქვას, რომ ქობულეთიდამ დაწყობილი, ანუ ჩვენის ძველის
სამზღვრიდამ ბათუმამდის მჭიდროთ. მოფენილ და დასახლე-
ბულ ქართველ ტომთა რიცხვით არის სავსე. ამ კუთხეში
უველგან საერთოდ, ქართველ მაჭმადიანთ შორის სუფევს ქა-
რთული ენა.

ქობულეთს იქით, ანუ ბათუმის უახლოეს სოფლებიდამ
ჩვენ დავიწყებთ აჭარის სოფლების ანუსხვით. და ბათუმის,
ირგვლივ მდებარე სოფლებსაც მას დალკავშირებთ, ვინაიდგან
ბათუმის იქიდამ, ანუ კახაბერის უახლოესილამ აჭარა იწყება-
დმიტომ. ჩვენც აჭარის სოფლებს მოვიყვანთ.

ჭედა აჭარის სოფლები.

დანდალო, ჯალაბაშვილები, ვოგიაური, ზაქარიაძეები,
არსანაული, გორგისეული, კოკიტაური, გელიაშვილები, აბუ-
ნაშვილები, გეგელიძე, კიკაშვილები, ვანაძეები, ბალაძე, ცხოვ-
რისი, აბუკეთი, კანტაური, ტბეთა, ნამანები, კვაშტა, ვაიო,
აჭუცა, მერისი, კუჭური, კაპარტყე, სიხლაძე, პეშიშოლლები,
ალიოლლები, ვოგონიძე, ალიქოლლები, მებიბნაკ, აჭოთა,

სოლიბაური, გარეტყე, სამზიარი, ნამონასტრევი, ორცვა, კაკაოლლი, ძენწმანი, კორომხეთი, ორთა ხოხნა, დერეხხოხნა, (32 კ.) ლოლაძენი (25 კ.), შოთიძე, ახო, გობურნეთი, ვარჯანისი, კევრისი, წონიარისი, სვანიური, ქინძაკარა, ბზუბზო, ზვარა, ზესოფელი, გულები, სალორეთი, ზედა მახუნცეთი, ქვედა მახუნცეთი, კვირიტაული, ბაბუჩაშვილები (20 კ.), ბელტური, დოლოგანი, საფარი, ჭინ კოხევი (35 კ.), კაპნის თავი, კიბე, ერგე, მიკიტაური, ხელვაჩაური, შარაბიძე (15 კ.), თოთვალაშვილები (17 კ.), ურეყის დედაბერა, გონიო, სიმონეთი, მახო, თხილნარი, ყარა შარვალი, ყომბოლო, წითელი მიწა და სხვაც წვრილი სოფლები.

რველა აშარბა, (ანუ ზეგანი)

ბაკო, თხილვანა, სკვანა, ხეხაძირი, ორთახევი, კალოთა, ფუშრუკაული, რაქვთა, ვერნები, მალლაკური, კვატრა, წაბლანა, ფორჩხა, გორგაული, ჭერი, ყანჩაური, ძმაგული, ბაბმარო, ფურტიო, მჭედლური, თათერული, ბუთურაული, ნენია, გუნდარა, ორთახევი, ოქროპარული, დაბა ძველი, ბერსენაული, ყაიბაშიკ კოლოჩნარი, გორხანაული, კებული, ვახტანგისძენი (10 კ.), სამოელეთი, მოფრინაძე (20 კ.), დაკლაკიძე, ცინარიძე (25 კ.), ჯაბანიძე (20 კ.), ქიქინიძე (20 კ.), ლომიჩანური (24 კ.), გოგინაური, კვინიხიძე (20 კ.), კარპეტი (25 კ.), მაწყვლთა, ჯუმუშაური, ოლტაური, პაპაშვილები (15 კ.), მალლაკიძე (20 კ.), კობოლთა, ჭუთათური, დარჩიძეები (40 კ.), წყაროთა, შუბაანი, ლომაშეთი, აგარა, საციხური, სამახრეო, ვანაძები (10 კ.), მეკერიძე (7 კ.), ვაშაყა (8 კ.), მიმითა, დავლა (6 კ.), ყალმე, მერგაძე (20 კ.), წინკარა (25 კ.), სტეფანეშვილები (30 კ.), ტურაძე (15 კ.), ორემაძე (20 კ.), შავაძე (20 კ.), ხოსიაშვილები (13 კ.), გებაძე (13 კ.), ყადიოლები (13 კ.), ელელეძე (7 კ.), დაკვნიანი (7 კ.), დუაძე (15 კ.), ჯირკვა, უჩხო, გადასახვევი, ოქროაშვილები (10 კ.), ხულო, ქედელები (30 კ.), იაკობიძე (15 კ.), ლორჯომი, უსტა (20 კ.), პაქსაძე (15 კ.), კორ-

ტოხა, მანიაკეთი, დიოგნისი, ტაბახმელა, ბოვაური, ბელლეთი, ზეგანი, დანისპარულა, ტაკიძე (10 კ.), ახალგაბა, ცხემლისი, საბულაშვილები (15 კ.), უანივრი, წინსაურვი, ნალვარევი, ბრილი, ცეკვა, ვარჯანული, წყურია, ჭოლა, ზემოხევი, ბართაული, გომართელი (15 კ.), ვანეთი, ჩანჩხარო, ნიგაზეული, ჩაო, თაფო, მელაძე 20 კ. აბულა და სხვანი.

გურიულის ხეობის

ტრაპენი, არხვა, ჭვანა, ქამილეთი, პუჭურეთი, ერგვანა, კორიდეთი, ოსმალა, დაგავა, მეზერე, ადუჩა, ძანცულა, ერგვანა, ისხევი, კაპარჭეთი, გურბინი, ბაგა, ჭულა, ჩხალეთი, გოგილეჲი, ბაშქორი, ფორსეთი, ჭალათი, გომჩირეთი, ურძუმა, ავალა, ნალვარევი, კევლი, ზედა აქურა, პოტოჭური, ორჯი, სიღირეთი, დილარგეთი და სხვანი.

გაჭახლის სოფლები.

გვარა, ჭიდ-ჭელი, ჭანური, იქარის ალმართი, ცხემლანა, ჩუკუნეთი, ხერთვისი, პატარა ხერთყისი, მინდიეთი, აგარა, ევრფატი, ჭვაბის თავი, ზედა ვაკე, გორგაძეთი, საფუტკრეთი, სინდიეთი, მაჭახლის პირი, კირნათი, მალლაკონი, ჭალა ხმელა, უჩხითი, მილისი, ძნელიეთი, ბაზარეთი, კახიეთი, ნაჭალაჭევი, თჯიბაური. გოშაბარეთი, კეუერეთი, ხან კილეთი, კირკიტეთი, საყანური, გვიანეთი და სხვანი.

ლივანის სოფლები.

ბაგინი, ღევესქელი, ცანათისი, ოხორჯინი, ვალაშია, შუახევი, ბანაკა, სამახრეო, არვეთი, ნიგია, ებრიკა, მამა-წმინდა, ლნია, ადაგული, პეტრული, კვარცხანა, სინჭოთი, არხვა, დამპალა, ირჯი, ავანა, თხილაძვა, კასტალა, წითურეთი, ფორჩხა, ჭელასყური, არჩუეთი, ჭკადუეთი, კინწყურეთი, ცოცხება, ზედუბანი, მურკეთი, შუბაანი, ნალარბაზევი, ბურდუხეთი, საბაური, გორგაული, ეტამი, ხინწკარა, ოლდაური, ჯონკურეთი და სხვანი მრავალნი წვრილი სოფლები, სადაც სულ ქართული ენა არსებობს.

ახლოციხის და ახალქალაქის ანუ შესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებზედ ჩვენ მწუხარებით ვართ ავსილი. ორის მაზრის ქართველ შაჰმადიანთ შორის უმეტეს ნაწილში დაკა-

რეულია ქართული ენა, მცირე ნაწილშია ეს დაშთენილი და
სიღაც აქვთ დაშთენილი, იქაც იყარგება, იქაც ეღება ბოლო
მის. უკულმართობას აქ დიდია აქვს ფესვი გამაგრებული, ქარ-
თულის მცოდნენი თუ არა მცოდნენი საშინელ ფანატიკები
არიან, ქართულს ენაზე ხმას, კრინტს არ იღებენ, უველგან
დავიწყების ნატვრა აქვთ განლვიძებული. მიზეზები ასეთის
უკულმართობის გახლდათ ის, რომ ოსმალოს სასულიფრო
წოდება ამ შუაგულ აღგილთა ქართველ მაჰმადიანებს მეტის
გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს. შათში მკაცრად ნერ-
გავდა ფანატიკობის სისასტიკეს, ქართული ენის გმობას, და-
ვიწყებას. ვინ იცის, იქნება შემდეგ ეს ასე არ იქმნეს, ქართ-
ველთ შორის ქართულმა ენამ გაიხმაუროს, — შეიძლება, ხოლო
დღეს კი ეს ასე არ არის და თვით შუაგულ ქართლის მცხოვრებ
ქართველ მაჰმადიანები მკაცრად მოიძულებენ ქართულ ენას.

მწუხარებით უნდა აინიშნოს ის გარემოებაც, რომ დღე-
მდე ჩვენ არა გვაქვს თუნდ მცირე რუქა ოსმალოს საქართ-
ველოსი, არც ის ვიცით, თუ ოსმალოს ხელში რა ზომის
აღგილებით კიდევ დაშთენილი, არც ის თუ დღემდე სად და
რომელ კუთხეებშია იქ ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული
ენა შენახული. საჭირო კია ჩეენთვის, რომ იგი ანუსხული
გვექმნეს. სამწუხაროდ ამ გარემოებას არც ოსმალთა საეთნო-
გრაფიო მწერლებმა მოკციეს ყურადღება, ქართველ მაჰმა-
დიანთ შესახებ მათ სულ არაფერი აქვსთ ნაწერი. შათში ოს-
მალოს საქართველო და ქართველ მაჰმადიანები სულ უც-
ნობნი არიან, დღეში კი არაფერი აქვსთ ნაწერ ნაბეჭდი, შე-
იძლება შემდეგ ექმნესთ. დღემდე ოსმალეთი მათ იცნობდა,
როგორც გურჯებს და გურჯისტანს, მასთან ხარჯის მძღვ-
ველს და კარგს მეომრებს, ამის მეტი არა იციან-რა.

ამიტომ ისევ ქართველებს გხვდათ წილად ჩვენის დაკარგუ-
ლის სამშობლო ქვეყნის ანუსხვა და ჩვენ ძმათ ქართველ
მაჰმადიანთ გაცნობა. ამიტომ ეს მოკლე, სადათ დაწერილი
დავბეჭდეთ, რათა ქართველმა საზოგადოების უმრავლესობაშ
მცირედ მაინც შეიგნოს ამ ვრცელის კუთხის და ერის შესა-
ხებ რამე ცნობები.

947.929
K 551

ქართველ მაჭიადიანთათვის, მოშზადებულია შემდეგი წიგნები:

- 1, მუსულმან ქართველთ საქართველო.
- 2, ქართველების გამაპმადიანება 1640 წლიდამ.
- 3, მესხეთ-ჯავახეთის გამაპმადიანება.
- 4, მოკლე ისტორია ოსმალოს საქართველოსი 1627 წლიდამ.
- 5, აქმედ ფაშა ხიმშიაშვილი და სამცხის ავტონომია 1827 წ.
- 6, ქართველ მაპმადიანთ გვარის ფაშები 1629 წლიდამ.
- 7, საფარ ფაშა ჯაყელი, როგორც პირველ გამპმადიანებელი.
- 8, ალი ფაშა თავდგირიძე და მათი ვვერის ლალატი.
- 9, ქართველ მაპმადიანები და საქართველოს პატივის მცემელი.
- 10, სასულიერო წოლება ქართველ მაპმადიანთა 1630 წ.
- 11, მედრესე და მექთეები ქართველ მაპმადიანთა 1840 წლიდამ.
- 12, ქურჯისტანის ჟაო და მრავლ ცოლიანობა მათში
- 13, რა ენით უნდა განათლდენ ქართველ მაპმადიანთ ძენი.
- 14, თამარ დედოფალი და მასზედ დარჩენილი ამბები მათში.
- 15, ლაზისტანი და ჭანეთი. საზღვრები, ხალხი და ენა.
- 16, ერუშეთის (არტაანი — ეხლა არდაგანი) გათათოება.
- 17, შავშეთი და იმერხევი და ქართული ენის გითარება.
- 18, ცრუ მორწმუნება ქართველ მაპმადიანთ და მათი ცხოვრების იარეში.
- 19, ბათუმის დაარსების ისტორია და სხვა ქალაქები.
- 20, კინტრიშის ხეობა და ქართველ მაპმადიანები.
- 21, მურდულის ხეობა და ძველი მადნები.
- 22, ზეგანი და ქართველ მაპმადიანები.
- 23, აჭარა, აღწერა სოფლების და ხალხის.
- 24, მუპაჯირი, ანუ ქართველ მაპმადიანთ გარდასახლება.
- 25, მაჭახელი, ქართველები და მაჭახლური იარალის კეთება.
- 26, ლივანა, ანუ მთელი ლიგანის ხევი, ესე იგი ჭოროხის ხეობა.
- 27, ფუხარა, ანუ ხელმოკლენი ქართველ მაპმადიანთა.
- 28, ხელოსნობა, მუშავბა, ვაჭრობა და ჩეურნეობა მათში.
- 29, გემების, ნავების კეთება და ზღვაოსნობა მათში.
- 30, დღეინდელი რიცხვი ქართველ მაპმადიანთა. მუსულმანთ საქართველოში.